

(№8 ოქმს თან ერთვის სხდომის ჩანაწერი)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის
2012 წლის 30 მაისის სხდომის
ოქმი №8

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 27 წევრიდან, ესწრებოდა 16. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თაემჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სენატის წევრად პროფ. გური შარაშენიძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

პროფ. გივი გოლეთიანის სენატიდან გასვლის გამო, ჩვენი რეგლამენტის თანახმად, სენატის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში სენატის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. აღნიშნულის თანახმად სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტიდან სენატის წევრად შემოდის პროფ. გური შარაშენიძე.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 30 მაისის №8 სხდომაზე წარმოდგენილ იქნა საკითხი სენატის წევრად პროფ. გური შარაშენიძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

სენატის გადაწყვეტილებით, დამტკიცებულ იქნა პროფ. გური შარაშენიძის სენატის წევრად ცნობის უფლებამოსილება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ს დაქვემდებარებაში მყოფი ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 2012 წლის დამტკიცებულ საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგინებ სტუ-ს დაქვემდებარებაში მყოფი ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 2012 წლის დამტკიცებულ საშტატო განრიგში ცვლილებებს:

1. გაუქმდეს უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის 2.0 საშტატო ერთეული, ხელფასით 500 ლარი თვეში;
2. დირექტორის თანაშემწეს დაენიშნოს ხელფასი 310 ლარი, ნაცვლად 250 ლარისა თვეში;
3. დაემატოს მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის 1.0 საშტატო ერთეული, ხელფასით 290 ლარი თვეში;
4. დაემატოს ინჟინრის 0,5 საშტატო ერთეული, ხელფასით 75 ლარი თვეში;
5. დაემატოს მეეზოვის 0,5 საშტატო ერთეული, ხელფასით 75 ლარი თვეში.

აღნიშნული ცვლილებები არ იწვევს ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საშტატო ერთეულების რაოდენობისა და სახელფასო ფონდის მოცულობის ცვლილებას.

პროფ. დავით ჯაფარიძე: მინდა თავშივე ვთქვა, რომ ეს ფინანსური საკითხები განიხილა უკვე საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა მუდმივმოქმედმა კომისიამ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 30 მაისის №8 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს დაქვემდებარებაში მყოფი ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 2012 წლის დამტკიცებულ საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა:

განხორციელდეს ცვლილებები სტუ-ს დაქვემდებარებაში მყოფი ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 2012 წლის დამტკიცებულ საშტატო განრიგში, კერძოდ:

6. გაუქმდეს უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის 2.0 საშტატო ერთეული, ხელფასით 500 ლარი თვეში;
7. დირექტორის თანაშემწეს დაენიშნოს ხელფასი 310 ლარი, ნაცვლად 250 ლარისა თვეში;
8. დაემატოს მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის 1.0 საშტატო ერთეული, ხელფასით 290 ლარი თვეში;
9. დაემატოს ინჟინრის 0,5 საშტატო ერთეული, ხელფასით 75 ლარი თვეში;
10. დაემატოს მეეზოვის 0,5 საშტატო ერთეული, ხელფასით 75 ლარი თვეში.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-ს ფაკულტეტების საშტატო განრიგებში ცვლილების შეტანის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგინო სტუ-ს ფაკულტეტების საშტატო განრიგებში ცვლილებებს:

1. სტუ-ს წესდების მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შემოღებულ იქნეს ფაკულტეტებზე მენეჯერის 1 საშტატო ერთეული, ხელფასით 1100 ლარი თვეში;

2. გაუქმდეს დეკანის მოადგილის 1 საშტატო ერთეული;
3. შემოდებულ იქნეს ფაკულტეტებზე საგანმანათლებლო პროგრამების კურატორის ერთი საშტატო ერთეული, ხელფასით 700 ლარი თვეში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 30 მაისის №8 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ფაკულტეტების საშტატო განრიგებში ცვლილების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა:

დამტკიცდეს ცვლილებები სტუ-ს ფაკულტეტების საშტატო განრიგებში:

1. სტუ-ს წესდების მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შემოდებულ იქნეს ფაკულტეტებზე მენეჯერის 1 საშტატო ერთეული, ხელფასით 1100 ლარი თვეში;
2. გაუქმდეს დეკანის მოადგილის 1 საშტატო ერთეული;
3. შემოდებულ იქნეს ფაკულტეტებზე საგანმანათლებლო პროგრამების კურატორის ერთი საშტატო ერთეული, ხელფასით 700 ლარი თვეში.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგენთ 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს:

1. სტუ-ს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი „პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში გაიზარდოს 194 250 ლარით (ხარჯვითი ნაწილი განხორციელდება ნაერთი ბიუჯეტის პრეზიდენტის სტიპენდიის გრაფიდან, სხვა ხარჯების სტიპენდიების მუხლიდან);

2. სტუ-ს ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვითი ნაწილი გაიზარდოს 494 130 ლარით. აღნიშნული გამოწვეულია „შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული სამეცნიერო გრანტების დაფინანსებით.
3. სტუ-ს დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთი ბიუჯეტის სახელმწიფო ბიუჯეტის გრაფაში (აღნიშნული ცენტრი ფინანსირდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან), საქონელი და მომსახურების ელ.ენერჯის ხარჯების პუნქტიდან – 130 ლარი გადატანილ იქნეს კავშირგაბმულობის ხარჯების პუნქტში.
4. საფაკულტეტო ბიუჯეტებში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 7000 ლარი გადატანილ იქნეს ხელფასის მუხლში, შესაბამისად, ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 56000 ლარი გადატანილ იქნეს ხელფასების მუხლში.
5. სტუ-ს ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და, შესაბამისად, ნაერთი ბიუჯეტის სუბსიდიების მუხლიდან 40000 ლარი გადატანილ იქნეს პრემიების მუხლში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 30 მაისის №8 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა:

სტუ-ს 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1. სტუ-ს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი „პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში გაიზარდოს 194 250 ლარით (ხარჯვითი ნაწილი განხორციელდება ნაერთი ბიუჯეტის პრეზიდენტის სტიპენდიის გრაფიდან, სხვა ხარჯების სტიპენდიების მუხლიდან);
2. სტუ-ს ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვითი ნაწილი გაიზარდოს 494 130 ლარით. აღნიშნული გამოწვეულია „შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული სამეცნიერო გრანტების დაფინანსებით.
3. სტუ-ს დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთი ბიუჯეტის სახელმწიფო ბიუჯეტის გრაფაში (აღნიშნული ცენტრი ფინანსირდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან), საქონელი და მომსახურების ელ.ენერჯის ხარჯების პუნქტიდან – 130 ლარი გადატანილ იქნეს კავშირგაბმულობის ხარჯების პუნქტში.
4. საფაკულტეტო ბიუჯეტებში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 7000 ლარი გადატანილ იქნეს ხელფასის მუხლში, შესაბამისად, ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 56000 ლარი გადატანილ იქნეს ხელფასების მუხლში.
5. სტუ-ს ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და, შესაბამისად, ნაერთი ბიუჯეტის სუბსიდიების მუხლიდან 40000 ლარი გადატანილ იქნეს პრემიების მუხლში.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან „მექანიკის ინჟინერიაში კომპოზიციური მასალების გამოყენების სამეცნიერო-

ტექნოლოგიური ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №651 – მომხსენებელი პროფ. მერაბ შვანგირაძე.

პროფ. მერაბ შვანგირაძე: წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან „მექანიკის ინჟინერიაში კომპოზიციური მასალების გამოყენების სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აქვე დავძენ, რომ აღნიშნული ცენტრი მოქმედებს თვითდაფინანსების პრინციპით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 30 მაისის №8 სხდომაზე პროფ. მერაბ შვანგირაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან „მექანიკის ინჟინერიაში კომპოზიციური მასალების გამოყენების სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 30 აპრილის დადგენილება №651.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან „მექანიკის ინჟინერიაში კომპოზიციური მასალების გამოყენების სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხი – სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან „სამანქანათმშენებლო პროცესების ოპტიმიზაციის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №662 – მომხსენებელი პროფ. რაული თურმანიძე.

პროფ. რაული თურმანიძე: წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან „სამანქანათმშენებლო პროცესების

ოპტიმიზაციის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აქვე აღვნიშნავ, რომ ცენტრი მოქმედებს თვითდაფინანსების პრინციპით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეექვსე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 30 მაისის №8 სხდომაზე პროფ. რაული თურმანიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან „სამანქანათმშენებლო პროცესების ოპტიმიზაციის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 მაისის დადგენილება №662.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან „სამანქანათმშენებლო პროცესების ოპტიმიზაციის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერი: პროფ. ქეთევან ქოქრაშვილს მიმდინარე საკითხებში აქვს კიდევ ერთი საკითხი წარმოსადგენი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: გთხოვთ სუბსიდიის მუხლიდან 275.450 ლარი გადატანილ იქნეს სხვა მიმდინარე ხარჯების მუხლის სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების პუნქტში. აღნიშნული ცვლილების მიზანია, სტუდენტთა ID ბარათების (სტუდენტური ბარათების) თანადაფინანსება. აღნიშნული ბარათები სტუდენტთა იდენტიფიცირებასთან ერთად, მისცემს მათ საშუალებას ისარგებლონ სხვადასხვა შეღავათებით. აქვე გაცნობებთ, რომ თანადაფინანსების პროგრამაში მოიაზრება სტუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სასწავლო პროგრამის სტუდენტები, გარდა მიმდინარე სასწავლო წელს დამამთავრებელი კურსების სტუდენტებისა, სულ სტუდენტთა

კონტინგენტი დღევანდელი მონაცემებით შეადგენს 11.018 სტუდენტს, რომელთა ბარათების დამზადებას ესაჭიროება 275.450 ლარი.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 30 მაისის №8 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: შეღავათების მიზნით, სტუდენტებისათვის ID ბარათების დამზადების თანადაფინანსებისათვის სუბსიდიის მუხლიდან 275 450 ლარი გადატანილ იქნეს სხვა მიმდინარე ხარჯების მუხლის სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების პუნქტში.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დასურულად გამოაცხადა.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი